საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარათაშვილი თომა ავთანდილის ძე

ბარათაშვილი თომა ავთანდილის ძე, XVIII ს. I ნახ. პოეტი. 1724 თავის ძმასთან, ცნობილ პოეტთან მამუკა ბარათაშვილთან ერთად რუსეთში გახიზნულ ვახტანგ VI-ს გაჰყვა ამალაში.

1740-იან წლებში რუს. საგარეო საქმეთა კოლეგიის დიპლომატ-კურიერი იყო. ბ-ის პოეტური მემკვიდრეობიდან ცნობილია რამდენიმე ლექსი, რ-ებშიც უცხოეთში გადახვეწილი ადამიანის სევდაა გამოხატული. დავით გურამიშვილი ბ-ს დასესხებია ერთ სასიმღერო კილოს („ხმას“) და ლექსიც მიუძღვნია მისთვის.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

გ. მიქაძე